ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N 10/35

2019 წლის 25 აპრილი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის დამტკიცების, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის მიერ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესწავლის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუქტის „დ.ა."ქვეპუნქტის და 140-ე მუხლის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე და 88–ე მუხლების, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის № 21/56 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების კონტროლი და ბიუჯეტის შესრულების შეფასება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუქტის „ბ.ა."ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს წელიწადში ერთხელ მაინც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ. ასევე საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმომადგენლობითი ორგანო არაუგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შესრულებულია 100,6 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 20072,1 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 20188,5 ათ. ლარი, ანუ 116,4 ათ. ლარით მეტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 1019,1 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 5,3 პროცენტი. მათ შორის:

1. შემოსავლების გეგმა შესრულებულია 99,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 19542,1 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 19535,7 ათ. ლარი, ანუ 6,4 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 551,1 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 2,9 პროცენტი. აქედან:

ა) გადასახადების გეგმა შესრულდა 100,7 პროცენტით, გეგმიური 10500,0 ათ. ლარის ნაცვლად მიღებულია 10570,2 ათ. ლარის შემოსავლები, ე.ი. 70,2 ათ. ლარით მეტი;

ბ) გრანტებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 98,6 პროცენტით, გეგმიური 5711,9 ათ. ლარის ნაცვლად მიღებულია 5633,1 ათ. ლარის შემოსავლები, ე.ი. 78,8 ათ. ლარით ნაკლები;

გ) სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 100,1 პროცენტით, გეგმიური 3330,2 ათ. ლარის ნაცვლად მიღებულია 3332,4 ათ. ლარის შემოსავლები, ე.ი. 2,2 ათ. ლარით მეტი.

2. არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა შესრულებულია 123,2 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 530,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 652,8 ათ. ლარი, ანუ 122,8 ათ. ლარით მეტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 468,0 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 253,3 პროცენტი.

3. ვალდებულებების ზრდის მუხლით (მოკლევადიანი სესხი) შემოსავლის მიღება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს გამოეყო უპროცენტო სესხი 2500,0 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც დაიფარა გრაფიკის შესაბამისად.

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელებს, საანგარიშო პერიოდში გეგმა შესრულებულია 80,2 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 21252,8 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 17041,6 ათ. ლარი, ანუ 4211,2 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 1815,5 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 9,6 პროცენტი. მათ შორის:

1. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების გეგმა შესრულებულია 98,4 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3898,6 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 3837,2 ათ. ლარი, ანუ 61,4 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 238,0 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 6,6 პროცენტი. აქედან:

ა) აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები დაფინანსებულია 99,1 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3641,4 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 3608,2 ათ. ლარი, ანუ 33,2 ათ. ლარით ნაკლები;

ბ) კრედიტის (საბიუჯეტო სესხის) სარგებლობისთვის გადახდილი პროცენტი დაფინანსებულია 100,0 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 86,8 ათ. ლარს.

გ) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში რომლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 8,0 ათ. ლარს, არ დაფინანსებულა.

დ) მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა დაფინანსებულია 99,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 142,4 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 142,2 ათ. ლარი, ანუ 0,2 ათ. ლარით ნაკლები;

ე) სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოწერილი თანხების დაფარვის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 20,0 ათ. ლარს, რაც არ დაფინანსებულა.

2. თავდაცვის (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური) გადასახდელები დაფინანსებულია 84,8 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 110,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 93,3 ათ. ლარი, ანუ 16,7 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 3,6 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 3,7 პროცენტი.

3. ეკონომიკური საქმიანობის ღონისძიებების გადასახდელები დაფინანსებულია 72,8 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 668,3 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 486,3 ათ. ლარი, ანუ 182,0 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 56,2 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 13,1 პროცენტი.

4. გარემოს დაცვის ღონისძიებების გადასახდელები დაფინანსებულია 67,0 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 348,4 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 233,5 ათ. ლარი, ანუ 114,9 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 2347,2 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 91,0 პროცენტი.

5. საბინაო-კომუნალური მომსახურების გადასახდელები დაფინანსებულია 59,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 8412,1 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 5036,1 ათ. ლარი, ანუ 3376,0 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 1203,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 31,4 პროცენტი.

6. ჯანმრთელობის დაცვის გადასახდელები დაფინანსებულია 99,1 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 629,2 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 623,4 ათ. ლარი, ანუ 5,8 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 1,1 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 0,2 პროცენტი.

7. დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროს გადასახდელები დაფინანსებულია 94,7 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3018,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 2857,5 ათ. ლარი, ანუ 160,5 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 1540,8 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 35,0 პროცენტი; აქედან:

ა) დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების გადასახდელები დაფინანსებულია 96,6 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1631,6 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 1576,1 ათ. ლარი, ანუ 55,5 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 1642,9 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 51,0 პროცენტი;

ბ) კულტურის სფეროს მომსახურების გადასახდელები დაფინანსებულია 92,8 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1018,7 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 945,6 ათ. ლარი, ანუ 73,1 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 13,0 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 1,4 პროცენტი;

გ) უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძრის გადასახდელები (ტაძრის განათებისა და მინათების ელ. ენერგიის ხარჯების თანხა) დაფინანსებულია 84,2 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 195,9 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 165,0 ათ. ლარი, ანუ 30,9 ათ. ლარით ნაკლები.

8. განათლების სფეროს გადასახდელები დაფინანსებულია 90,8 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2911,6 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 2643,5 ათ. ლარი, ანუ 268,1 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 469,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 21,6 პროცენტი.

9. სოციალური დაცვის სფეროს გადასახდელები დაფინანსებულია 97,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1256,6 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 1230,8 ათ. ლარი, ანუ 25,8 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 109,8 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 9,8 პროცენტი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილია ანგარიში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტზე, რომელიც არ შეიცავს უზუსტობებს და რეალურად ასახავს მუნიციპალიტეტის ფინანსური საქმიანობის შედეგებს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტზე, ფასდება დამაკმაყოფილებლად.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ შეისწავლა საკითხი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“. საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხებოდა დებიტორულ - კრედიტორული დავალიანებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტზე და შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

მუხლი 2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ საკითხის და საფინანსო დოკუმენტაციის შესწავლის აქტი მიღებულ იქნას ცნობად, თანახმად დანართებისა.

მუხლი 3.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (გოჩა კურდღელია) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54 -ე მუხლის პირველი პუქტის „ბ.დ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ საკითხის შესწავლით გამოვლენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შემცირება-აღმოფხვრისთვის.

მუხლი 4.

გატარებული ღონისძიებების შესახებ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (გოჩა კურდღელია) აცნობოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 მაისამდე.

მუხლი 5.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვისთვის გაწეული მუშაობა ცნობად იქნას მიღებული.

მუხლი 6.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას (თორნიკე კირთაძე).

მუხლი 7.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა № 3).

მუხლი 8.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია